# საქართველო

38370-01-2-201510120959

## საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/38370
12/10/2015

<u>*სასწრაფო*</u>

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

გაცნობებთ, რომ 2015 წლის 6 ოქტომბერს ხელი მოეწერა ,,საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის (სპეციალური ოპერაციები) (შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის - ქვე-პროგრამა 2)“ სასესხო ხელშეკრულებას.

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, აღნიშნული სასესხო ხელშეკრულება ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიკაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში სარატიფიკაციოდ წარდგენის მიზნით, გიგზავნით, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ინგლისურენოვანი დედნისა და ქართულენოვანი ოფიციალურად დამოწმებული თარგმანის ასლებს, განმარტებითი ბარათს, შესაბამისი უწყებების დასკვნებსა და შეთანხმების ფურცელს.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულების საქართველოს პარლამენტში წარდგენის შემთხვევაში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მასზე მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეები ბატონი - გიორგი კაკაურიძე და ბატონი - ლაშა ხუციშვილი.

დანართი:

- ხელშეკრულების და მისი თარგმანის ასლი;
- უწყებების დასკვნები;
- განმარტებითი ბარათი;
- შეთანხმების ფურცელი;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილები.

(ჯამი: 57 ფურცელი).

პატივისცემით,
ხათუნა თოთლაძე

მინისტრის მოადგილე

№ 66856
12-10-2015
58

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

# საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
# MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

KA010103865293515

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№6959

09 / სექტემბერი / 2015 წ.

საქართველოს ფინანსთა
მინისტრის მოადგილეს,
ბატონ დავით ლეჟავას

ბატონო დავით,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2015 წლის 3 სექტემბრის №07-01/93598 წერილით წარმოდგენილი საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის გასაფორმებელი „შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის - ქვე-პროგრამა 2" (სპეციალური ოპერაციები) და „შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის - ქვე-პროგრამა 2" (ჩვეულებრივი ოპერაციები) სასესხო ხელშეკრულებების პროექტები, რომლებთან დაკავშირებით გაცნობებთ რომ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს. ამასთან, გაცნობებთ რომ წარმოდგენილი სასესხო ხელშეკრულებების პროექტები საჭიროებს რატიფიკაციას „საქართველოს კონსტიტუციის" 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

პატივისცემით,

გ. ლორთქიფანიძე

მინისტრის მოადგილე

გოჩა ლორთქიფანიძე

KA020172082311715

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

0108 თბილისი, ჭანტურიას ქ. N12
12, G. Chanturia str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05; 2 99 11 11
Fax.: (+995 32) 2 921534

**№ 09/6531**

**15 / სექტემბერი / 2015 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ დავით ლეჟავას

ბატონო დავით,

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განიხილა თქვენი წერილით (N07-01/93616; 03.09.2015) წარმოდგენილი, საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის, 2015 წლის 28 ივლისს გამართული მოლაპარაკებების შედეგად შეთანხმებული "შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისთვის - ქვე-პროგრამა 2" (სპეციალური ოპერაციები) და "შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისთვის - ქვე-პროგრამა 2" (ჩვეულებრივი ოპერაციები) სასესხო ხელშეკრულებების პროექტები.

გაცნობებთ, რომ სამინისტროს, ზემოაღნიშნულ პროექტებთან დაკავშირებით, კომპეტენციის ფარგლებში, შენიშვნები არ გააჩნია.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე ირმა ქავთარაძე

№ 01/34680
14/09/2015

**დასკვნა**
**„საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის (სპეციალური ოპერაციები) (შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის - ქვე-პროგრამა 2)“ სასესხო ხელშეკრულების პროექტის თაობაზე**

სამინისტრომ განიხილა „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის (სპეციალური ოპერაციები) (შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის - ქვე-პროგრამა 2)“ სასესხო ხელშეკრულების პროექტი და მის მიმართ გააჩნია შემდეგი სახის შენიშვნები და წინადადებები:

გამომდინარე იქიდან, რომ ხელშეკრულების პროექტის 5.03 მუხლი შეეხება ეფექტურობის საკითხს, გასათვალისწინებელია, რომ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული სასესხო ხელშეკრულება ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიკაციას;

ამასთან, პროექტის ქართულენოვანი ტექსტი საჭიროებს მთარგმნელობითი, გრამატიკული, ენობრივი და სტილისტური ხასიათის შესწორებებს, კერძოდ:

- მართებულია, ხელშეკრულების პროექტის 5.01 მუხლში ფრაზა: „other than a condition requiring the effectiveness of this Loan Agreement", ქართულად ჩამოყალიბდეს, შემდეგნაირად: „იმ პირობებთან ერთად, რომელიც ითხოვს წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების ეფექტურობას“;

ზემოაღნიშნულისა და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია, წარმოდგენილი სასესხო ხელშეკრულების დადება.

პატივისცემით,
ხათუნა თოთლაძე

მინისტრის მოადგილე

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia
2-04/2971-15
07.09.2015

საქართველოს ფინანსთა
მინისტრის მოადგილეს
ბატონ დავით ლეჟავას

თქვენს 2015 წლის 03 სექტემბრის
N07-01/93603 წერილზე

ბატონო დავით,

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განიხილა 2015 წლის 28 ივლისს საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის დამართული მოლაპარაკებისას განხილული საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის გასაფორმებელი „შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის - ქვე-პროგრამა 2" (სპეციალური ოპერაციები) და „შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის - ქვე-პროგრამა 2" (ჩვეულებრივი ოპერაციები) სასესხო ხელშეკრულებების პროექტები.

გაცნობებთ, რომ ეროვნულ ბანკს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტების მიმართ შენიშვნები არ აქვს.

პატივისცემით,

არჩილ მესტვირიშვილი

ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
№ 151390/01
08 09 2015

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

N 07-01/98296
17/09/2015

98296-07-01-2-201509171404

დასკვნა

საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის (ADB) გასაფორმებელი ,,შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის - ქვე-პროგრამა 2'' (სპეციალური ოპერაციები) და ,,შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის - ქვე-პროგრამა 2'' (ჩვეულებრივი ოპერაციები) სასესხო ხელშეკრულებების პროექტებზე

საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის გასაფორმებელ ,,შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის - ქვე-პროგრამა 2'' (სპეციალური ოპერაციები) და ,,შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის - ქვე-პროგრამა 2'' (ჩვეულებრივი ოპერაციები) სასესხო ხელშეკრულებების პროექტებთან დაკავშირებით ამ ეტაპზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გააჩნია.

მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ხელშეკრულებების გაფორმება საფინანსო-ეკონომიკური თვალსაზრისით დადებით შედეგს მოიტანს.

დავით ლეჟავა

მინისტრის მოადგილე

ქ.თბილისი, 0114, გ. გორგასლის ქ. №16, ტელ.:2261412, ფაქსი: 2262409,ელ-ფოსტა: info@mof.ge
16 Gorgasali Street, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: 2261412, Fax:2262409. E-mail: info@mof.ge

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

N 07-02/105495
07/10/2015

105495-07-02-2-201510071431

<u>სასწრაფო</u>

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ხათუნა თოთლაძეს

ქალბატონო ხათუნა,

გიგზავნით დეპონირებისა და ძალაში შესვლისათვის საჭირო პროცედურების განსახორციელებლად 2015 წლის 6 ოქტომბერს საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის ხელმოწერილ „შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის - ქვე-პროგრამა 2" (სპეციალური ოპერაციები)" და „შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის - ქვე-პროგრამა 2" (ჩვეულებრივი ოპერაციები)" სასესხო ხელშეკრულებების ორიგინალებს ინგლისურ ენაზე მათ ოფიციალურად დამოწმებულ ქართულ თარგმანთან ერთად.

სასესხო ხელშეკრულებები 2015 წლის 6 ოქტომბერს საქართველოს მხრიდან ხელმოწერილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის, ბატონ ნოდარ ხადურის მიერ, ხოლო აზიის განვითარების ბანკის მხრიდან საქართველოში აზიის განვითარების ბანკის მუდმივი წარმომადგენლობის დირექტორის ქალბატონი იეშიმ ელჰან-კაიალარის მიერ.

დანართი:

1. საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის გაფორმებელი „შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის -ქვე-პროგრამა 2" (სპეციალური ოპერაციები) და „შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის -ქვე-პროგრამა 2" (ჩვეულებრივი ოპერაციები)" სასესხო ხელშეკრულებების ორიგინალი ინგლისურ ენაზე ოფიციალურ ქართულ თარგმანთან ერთად;
2. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 სექტემბრის №2025 და №2026 განკარგულებების ასლები;
3. საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2015 წლის 23 სექტემბრის №394 და №395 ბრძანებების ასლები;
4. შესაბამისი უწყებების წერილების ასლები;
5. შეთანხმების ფურცელი (თითოეული ხელშეკრულებისთვის);
6. განმარტებითი ბარათი (თითოეული ხელშეკრულებისთვის).

პატივისცემით,

ლაშა ხუციშვილი

მინისტრის მოადგილე

*ქ.თბილისი, 0114, გ. გორგასლის ქ. №16, ტელ.:2261412, ფაქსი: 2262409,ელ-ფოსტა: info@mof.ge*
*16 Gorgasali Street, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: 2261412, Fax:2262409. E-mail: info@mof.ge*

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

N 07-01/105926
08/10/2015

105926-07-01-2-201510081309

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ხათუნა თოთლაძეს

ქალბატონო ხათუნა,

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმდინარე წლის 7 ოქტომბრის №07-02/105495 წერილზე დამატებით გაცნობებთ, რომ 2015 წლის 6 ოქტომბერს საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის ხელმოწერილ „შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის - ქვე-პროგრამა 2" (სპეციალური ოპერაციები)" და „შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის - ქვე-პროგრამა 2" (ჩვეულებრივი ოპერაციები)" სასესხო ხელშეკრულებების საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისთვის წარმდგენნი და მომხსენებლები ვიქნები პირადად და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ბატონი გიორგი კაკაურიძე.

პატივისცემით,

ლაშა ხუციშვილი

მინისტრის მოადგილე

ქ.თბილისი, 0114, გ. გორგასლის ქ. №16, ტელ.:2261412, ფაქსი: 2262409, ელ-ფოსტა: info@mof.ge
16 Gorgasali Street, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: 2261412, Fax:2262409. E-mail: info@mof.ge